



**"ენერგოეფექტურობის  
ცენტრის"  
ყოველკვირეული  
საინფორმაციო  
ბიულეტენი**



N 36, 2021

# სარჩევი

ნავთობი და გაზი .....	2
ევროპაში გაზის ფასი უკვე 710 დოლარს აჭარბებს .....	2
აზერბაიჯანული ნავთობის ფასმა 73 აშშ დოლარს გადააჭარბა .....	2
ელექტროენერგეტიკა.....	2
კრიპტოვალუტის მწარმოებელი Bitfury „საქართველოს რკინიგზაზე“ 3-ჯერ მეტ დენს მოიხმარს - რა მოცულობის ელ.ენერგიას ხარჯავენ პირდაპირი მომხმარებლები.....	2
„მოხერხდება თუ არა ენერგეტიკული ბირჟის 1 იანვარს ამოქმედება, დღესაც გაურკვეველია“ – გიორგი კაპანაძე.....	3
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	4
უდაბნოს მზის ელექტროსადგურს “ნექსტ ენერჯი” აშენებს .....	4
გერმანია ტრანსპორტისთვის წყალბადის ტექნიკის 4 ახალ ცენტრს ქმნის.....	4
კლიმატის ცვლილება.....	5
ჯო ბაიდენი: კლიმატის ცვლილება ამერიკასა და მსოფლიოს ეგზისტენციალურ საფრთხეს უქმნის .....	5
ჰაერის დაბინძურების შედეგად მილიარდობით ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა მცირდება .....	5
პუბლიკაციები.....	6
ღონისძიებები .....	6

## ნავთობი და გაზი

### ევროპაში გაზის ფასი უკვე 710 დოლარს აჭარბებს

ევროპის ფიუჩერულ ბაზარზე გაზის ფასი ისტორიულ მაქსიმუმს აღწევს და ათას კუბურ მეტრზე მისი ღირებულება 710 აშშ დოლარს აღემატება.

ამრიგად, სექტემბრის ფიუჩერული კონტრაქტის ღირებულება ნიდერლანდებში TTF-ზე ათას კუბურ მეტრზე დაახლოებით 710,07 აშშ დოლარს შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად ევროპულ მიწისქვეშა გაზსაცავებში (UGS) შენახულია 10-15 მილიარდ კუბური მეტრი ბუნებრივი აირი, იმაზე გაცილებით ნაკლები ვიდრე საჭიროა კომფორტული ზამთრის სეზონისთვის, განაცხადა Fitch-ის ბუნებრივი რესურსებისა და ნედლი პროდუქტების ჯგუფის დირექტორმა დიმიტრი მარინჩენკომ. მისივე სიტყვებით, გაზსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის ამოქმედებამდე „გაზპრომს“ არ სურს ევროპული გაზსაცავების შევსება ან გაყიდვების გაზრდა.

<https://cutt.ly/4WNR3hB>

### აზერბაიჯანული ნავთობის ფასმა 73 აშშ დოლარს გადააჭარბა

“Azeri LT CIF“-ის ნედლ ნავთობზე, რომელსაც აზერბაიჯანი მსოფლიო ბაზარს აწვდის, ფასი 0,08 აშშ დოლარით (0,11%) გაიზარდა. აღნიშნულის შესახებ აზერბაიჯანული report იუწყება.

Azeri Light-ის მარკის ერთი ბარელი ნავთობის ფასი ამ დროისათვის 73,41 აშშ დოლარს შეადგენს.

ცნობისთვის, ყველაზე დაბალი ფასი, 2020 წლის 21 აპრილს დაფიქსირდა, იმ დროისთვის 1 ბარელი “Azeri LT CIF“-ის ნედლი ნავთობი 15,81 აშშ დოლარი ღირდა, ხოლო მაქსიმალური ფასი 2008 წლის ივლისში 149,66 დოლარი იყო.

<https://cutt.ly/VWNR7y1>

## ელექტროენერგეტიკა

### კრიპტოვალუტის მწარმოებელი Bitfury „საქართველოს რკინიგზაზე“ 3-ჯერ მეტ დენს მოიხმარს - რა მოცულობის ელ.ენერგიას ხარჯავენ პირდაპირი მომხმარებლები

ელექტროენერგიის ბალანსის მიხედვით, პირდაპირ მომხმარებლებს შორის წელს ივლისში ჯამში 44 კომპანია მოხვდა, მათ შორის არიან - „ჯორჯიან მანგანეზი“, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, "რუსთავის ფოლადი", კრიპტოვალუტის მწარმოებლები - შპს „ბი ეფ დი სი“ და „დატა ჰაბი“, ასევე „ლილო მოლი“ და ა.შ.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ 10 კომპანიას, რომელთაც 2021 წლის ივლისში ყველაზე დიდი რაოდენობით ელექტროენერგია მოიხმარეს:

- „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა“ - 107.319 მლნ კვტ.სთ;
- "ბი ეფ დი სი" (Bitfury Georgia) - 39.406 მლნ კვტ.სთ;



- "რუსთავის აზოტი" - 24.916 მლნ კვტ.სთ;
- „ჰაიდელბერგცემენტი ჯორჯია“ -19.446 მლნ კვტ.სთ;
- "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" - 16.522 მლნ კვტ.სთ;
- "რუსთავის ფოლადი" - 13.239 მლნ კვტ.სთ
- "ჭიათურმანგანუმ ჯორჯია" - 12.403 მლნ კვტ.სთ;
- „საქართველოს რკინიგზა“ - 12.182 მლნ კვტ.სთ;
- "ჯეოსთილი" - 11.579 მლნ კვტ.სთ;
- „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ - 10.718 მლნ კვტ.სთ;

ცნობისათვის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით 2021 წლის 1-ლი ივლისიდან საბითუმო ბაზარზე სავალდებულო რეგისტრაცია ევალეზა იმ კომპანიებს, რომელთა საშუალო თვიური მოხმარება 400 ათას კვტ.სათს აღემატება. შესაბამისად, ეს კომპანიები ელექტროენერჯის პირდაპირი მომხმარებლები არიან და ისინი დენს სადისტრიბუციო კომპანიებისგან არ ყიდულობენ. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად პირდაპირ მომხმარებლად ის კომპანიები ითვლებოდნენ, რომლებიც თვეში 15 მლნ კვტ.სთ-ზე მეტ ელექტროენერჯას ხარჯავდნენ.

<https://cutt.ly/5WNtwRV>

### **„მოხერხდება თუ არა ენერგეტიკული ბირჟის 1 იანვარს ამოქმედება, დღესაც გაურკვეველია“ – გიორგი კაპანაძე**

„თვეზე მეტია გასული საქართველოს ენერგეტიკულმა ბირჟის მიერ 6 თვის ანგარიშის გამოქვეყნებიდან და დღემდე ეს, სამწუხაროდ, ბირჟის მნიშვნელოვანი საჯარო აქტივობებიდან უკანასკნელია. საზოგადოებას კი არც ახლა აქვს პასუხი მთავარ კითხვაზე – მოხერხდება თუ არა დაანონსებულ ვადაში, ანუ 2022 წლის 1 იანვარს ბირჟის სრულფასოვანი ამოქმედება. ბირჟის ხელმძღვანელობა არც იმას თვლის საჭიროდ, რომ საზოგადოებას ის დაგეგმილი სამუშაოები გააცნოს, რაც წესით და რიგით გაწერილი უნდა ჰქონდეს დარჩენილი პერიოდისთვის“, – ამის შესახებ „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელმა გიორგი კაპანაძემ განაცხადა.

მისი თქმით, ბირჟის ხელმძღვანელობის სიჩუმე არ არის კარგის მომასწავებელი და ამჟამინდელ მდგომარეობაში, რომ საჭირო გახდება ბირჟის ამოქმედების მათ მიერვე დათქმული ახალი თარიღის კიდევ ერთხელ გადავადება.

„ჩვენ ორგანიზაციას იმთავითვე მიაჩნდა, რომ 1 იანვარს, ანუ დეფიციტის პიკის პირობებში, როცა ბაზარზე პრაქტიკულად მხოლოდ იმპორტიორები ოპერირებენ, ბირჟის სრულფასოვანი ამოქმედება, რბილად რომ ითქვას, მორიგი შეცდომა იქნება, მაგრამ გაცემას იწვევს ის ფაქტი, რომ დრო გადის და ბირჟის მესვეურთაგან არაფერი ისმის იმის შესახებ, მართლა ახერხებენ თუ არა ისინი მათ მიერვე დათქმული ახალი ვადის დაცვას და უმნიშვნელოვანესი რეფორმის დასკვნითი ფაზის რეალურად დაწყებას.

ამის ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც ბაზრის არსებული და პოტენციური მონაწილეებისთვის, ისე საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისთვის. პირდაპირ ვიტყვი – ამ ვადის ხარისხიანად დაცვაზე იქნება დიდწილად დამოკიდებული ბირჟის

ხელმძღვანელების პროფესიული რეკუტაცია. თუ მათ კვლავ მოუხდათ რეფორმის გადადება, ან თუ ბირჟა გაეშვა და მან ხარვეზებით დაიწყო მუშაობა, ეს უკვე ნამდვილად აღიქმება, როგორც ჩავარდნა, რაც აუნაზღაურებელ ზიანს მიაყენებს ელექტროენერგეტიკულ სექტორს და რეფორმიდან გამომდინარე პოზიტიურ მოლოდინებს“, – განმარტა კაპანაძემ.

<https://cutt.ly/nWNttMX>

## განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

### უდაბნოს მზის ელექტროსადგურს “ნექსტ ენერჯი” ააშენებს

კახეთში, სოფელ უდაბნოსთან მზის სადგურს კომპანია „ნექსტ ენერჯი“ ააშენებს. სწორედ ეს კომპანია გახდება „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ პარტნიორი და ქვეყანაში მზის ელექტროსადგურს ააშენებს.

ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე – 5 მგვტ-ია, წლიური გამომუშავება – 7.1 მლნ კვტ/სთ იქნება. პროექტის სავარაუდო ღირებულება – 3,45 მლნ დოლარით არის განსაზღვრული.

საერთო კომპანიაში ენერგეტიკის განვითარების ფონდის წილი 10% იქნება, „ნექსტ ენერჯის“ – 90%.

ეს სახელმწიფოს მხრიდან უდაბნოში მზის ელექტროსადგურის აშენების მეორე მცდელობაა. წინა ტენდერში „საქართველოს მზის კომპანია“ იყო გამარჯვებული.

„ნექსტ ენერჯის“ ბენეფიციარი მფლობელი კანადის მოქალაქე გოგა ჯახიაა. მისი კომპანია ჩართულია ასევე იმერეთში, ქარის ელექტროსადგურების პროექტშიც.

<https://cutt.ly/BWNtiSg>

### გერმანია ტრანსპორტისთვის წყალბადის ტექნიკის 4 ახალ ცენტრს ქმნის

მსოფლიოს წყალბადის ეკონომიკის ლიდერობის მიზნის მისაღწევად გერმანიამ ახალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. გერმანიის მთავრობამ 290 მლნ ევრო გამოყო, 2024 წლამდე 4 ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრის შექმნისა და დაფინანსებისთვის, რომლებიც სატრანსპორტო სფეროსთვის წყალბადის ტექნოლოგიების შემუშავებაზე იზრუნებენ: მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები, მატარებლები, სამდინარო და საზღვაო ხომალდები, თვითმფრინავები.

„ეს ცენტრები მრეწველობის სხვადასხვა მოთხოვნილებების გათვალისწინებით, განსხვავებულ ამოცანებზე იქნებიან ორიენტირებული“, – განაცხადა გერმანიის ტრანსპორტისა და ციფრული ინფრასტრუქტურის მინისტრმა ანდრეას შოიერმა. პროექტის ფარგლებში ტენდერი 2 სექტემბერს დასრულდა. სულ, მთელი გერმანიიდან, 15 განაცხადი იყო შესული.

<https://cutt.ly/rWNtajz>

## კლიმატის ცვლილება

### ჯო ბაიდენი: კლიმატის ცვლილება ამერიკასა და მსოფლიოს ეგზისტენციალურ საფრთხეს უქმნის

აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ კლიმატის ცვლილება ამერიკასა და მსოფლიოს ეგზისტენციალურ საფრთხეს უქმნის.

„კლიმატის ცვლილება ეგზისტენციალური საფრთხეა ჩვენი სიცოცხლისთვის, ჩვენი ეკონომიკისთვის და ეს საფრთხე აქ არის. კითხვა შემდეგია: შეიძლება სიტუაცია უარესი გახდეს? ჩვენ შეგვიძლია შევაჩეროთ ეს უარესი“, – აღნიშნა ჯო ბაიდენმა.

ჯო ბაიდენის თქმით, ხალხი სერიოზულად უნდა მოეკიდოს კლიმატის ცვლილების საფრთხეს და ყური უგდოს ექსპერტებს, რომლებიც ამბობენ, რომ ამჟამად „წითელი კოდის“ სიტუაციაა.

აშშ-ის რამდენიმე შტატში სტიქიურ უბედურებას, სულ მცირე, 58 ადამიანი ემსხვერპლა. გასულ კვირას, მეოთხე კატეგორიის ქარიშხალმა ძლიერი წვიმა და წყალდიდობა გამოიწვია, რის გამოც, ნიუ-იორკისა და ნიუ-ჯერსის შტატებში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ნიუ-იორკის მერმა, ბილ დე ბლაზიომ, წყალდიდობა ამინდთან დაკავშირებულ ისტორიულ მოვლენად შეაფასა.

ნიუ-იორკში, ნიუ-ჯერსიში, პენსილვანიასა და კონექტიკუტში წყალმა ქუჩები, სახლები, მეტროპოლიტენის ხაზები დატბორა და ავტომობილები წაიღო. მეოთხე კატეგორიის ქარიშხლის გამო, ათასობით აბონენტი ელექტროენერჯის გარეშე დარჩა.

<https://cutt.ly/AWNtjeN>

### ჰაერის დაბინძურების შედეგად მილიარდობით ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა მცირდება

მსოფლიოში თითოეული მოქალაქე ჰაერის დაბინძურების დღევანდელი დონის შედეგად საშუალოდ სიცოცხლის 2.2 წელს კარგავს, – ამის შესახებ აღნიშნულია ჩიკაგოს უნივერსიტეტის ანგარიშში – ჰაერის ხარისხის სიცოცხლის ინდექსში (AQLI).

ანგარიშის თანახმად, ეს იმას ნიშნავს, რომ ჰაერის დაბინძურება მოწევაზე, ავტოსაგზაო შემთხვევებსა და აივ ინფექცია/შიდსზე უფრო დიდი „მკვლეელია.“

AQLI-ში ასევე აღნიშნულია, რომ მთავარი დამაბინძურებელი წიაღისეული საწვავის წვაა. ყველაზე მეტად დაზარალებული ქვეყანა ინდოეთია, სადაც თითოეული მოქალაქის სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ დაახლოებით 6 წლით მცირდება. მეცნიერების განმარტებით, ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე ტყის ხანძრები.

„ჩვენ არა მხოლოდ ვუშვებთ ჰაერის დაბინძურებას, არამედ რეალურად ვიწვევთ კიდევ მას,“- აცხადებს ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი მაიკლ გრინსტონი და ქვეყნებს სუფთა ენერჯიაზე გადასვლისა და არსებულ ელექტროსადგურებზე ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული ზომების გატარებისკენ მოუწოდებს.

ანგარიშის თანახმად, ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობა მოიმატებს, თუ ჰაერის დაბინძურების დონე მათ ქვეყანაში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გაიდლაინების

მიხედვით შემცირდება, იმ შემთხვევაში კი, თუკი მსოფლიოში ჰაერის დაბინძურების შემცირების კუთხით არაფერი შეიცვლება, ადამიანები, მილიარდობით წელს დაკარგავენ.

AQLI ანგარიში ემყარება კვლევას, რომელიც მეტად და ნაკლებად დაბინძურებულ გარემოში მცხოვრები ადამიანების სიკვდილიანობის მაჩვენებელს ადარებს. კვლევის თანახმად, ნაადრევი სიკვდილის ყველაზე დიდი მიზეზი გულისა და ფილტვის პრობლემებია.

<https://cutt.ly/dWNtIMK>

## **პუბლიკაციები**

განახლებადი ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IRENA) ახალი ანგარიში [Global Renewables Outlook 2050](#)

წარმოგიდგენთ პროფ. თეიმურაზ გოჩიტაშვილის ინგლისურენოვან მონოგრაფიას [„საქართველოს ნავთობისა და გაზის სექტორი გარდამავალ პერიოდში“](#)

## **ღონისძიებები**

**მე-3 ევროპული კონფერენცია - Future of Biofuels 2021**

თარიღი: 5-6 15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

<https://fortesmedia.com/future-of-biofuels-2021,4,en,2,1,13.html>

**მე-16 კონფერენცია ენერჯეტიკის, წყალმომარაგების და გარემოსდაცვითი სისტემების მდგრადი განვითარების (SDEWES) საკითხებზე**

თარიღი: 10-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: დუბროვნიკი, ხორვატია

Covid-19-ის სიტუაციის მიხედვით, კონფერენცია ჩატარდება ან ჰიბრიდულ, ან სრულად ონლაინ რეჟიმში.

<https://www.dubrovnik2021.sdewes.org/>

**მე-14 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ენერჯეტიკის და კლიმატის ცვლილების საკითხებზე**

თარიღი: 13-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: ათენი, საბერძნეთი, ათენის ეროვნული უნივერსიტეტის შენობა “Kostis Palamas”

<https://promitheasconference.wordpress.com/>